# სახალხო გაზეთი

№ 1035 სამშაბათი, 5 ნოემბერი 1913 წ. № 035

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე ერთი-ერთ სადამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ ოთხ სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედანი.

ხელის მოწერა და დახაზული განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, სადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი



## საფაბრიკო-სამრეწველო ამხანაგობა
## „რექტიფიკატ“ (დ. ზ. სარაჯიშვილის ფირმით მოვაჭრე)

ურჩევს იყიდონ ახლად გამოსული არაყი სახელით: „რექტიფიკატ“, რომელიც დამზადებულია პურის გაწმენდილ სპირტისაგან, საუკეთესო ღირსებისაა და საგანგებოდ გაწმენდილია. ეს არაყი იყიდება ყველგან. 1522


ამ ნომერს თან მისდევს ქუთაის. ბ-ნკის განცხადება საჯარო ვაჭრობით გასაყიდად დაგირავებულ მამულებისა.


### სახალხო გაზეთი
ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით
პირველი ნოემბრიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარეთ ღირს 1 მ. 50 კ.
თვეში ღირს 75 კაპ.
არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.
მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети“ Почт. ящ. 190.


იაკობ ფირცხალავა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მისი ძვირფასის მეუღლის
### მარიამ (ტურნუ) ფირცხალავას
უდროოდ გარდაცვალების წლის თავზე, შაბათს, ამა ნოემბრის 9-სა, დ. ოჩამჩირეში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი. 1575


ტელეფ. № 7-5. **ქართული თეატრი** წარმოდგენა 20—8.
ხუთშაბათს, 7 ნოემბერს, ქართულ დრამატიულ საზოგად. დასის მიერ
Gala-წარმოდგენა.
დრამატიულ საზოგადოების ფონდის გასაძლიერებლად
ქ-ნ ნინო ჩხეიძისა და ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით
წარმოდგენილი იქნება:
I) **ინსტინქტი**, დრამა 3 მოქ. ა. კისტმეკერსისა, თარგ. ვლ. ალექსი-მესხიშვილისა. რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.
II) **ჰანნელე**, დრამატ. ოცნება 2 მოქმ. გ. ჰაუპტმანისა, თარგმ. შ. დადიანისა. რეჟისორი მ. ქორელი.
III) **უნიადაგონი**, პირველი მოქმედება ვ. შალიკაშვილისა. მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.
ანონსი: მზადდება წარმოსადგენად: ნაგავი, სინათლე, დამარცხებული, რომი და სხვა.
შემდეგი ბენეფისი ტ. აბაშიძისა 14 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება „ვაი ჭკუისაგან“, გრიბოედოვისა, თარგ. განდეგილისა. ამმ. ქარ. დრამ. საზ. 1576
დასაწყ. სწორედ საღამოს 8 ს. — ადგილების ფასი საბენეფისოა.

### ქართული თეატრი
სამშაბათს, 12 ნოემბერს
## დავ. კლდიაშვილი
გამართავს სალიტერატურო-სამუსიკო
## საღამოს
I
ა. ჯანელიძე წაიკითხავს ლექციას „დროვნული შემოქმედება“
II
დეკლამაცია და სიმღერა

დ. კლდიაშვილი (მოთხრობა)
ჯ. ჯორჯიკია (მინიატურები).
ი. გრიშაშვილი (ლექსები).
დ. აკოფაშვილი (სიმღერა).
III
ქართ. დრ. საზ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: დავ. კლდიაშვილისავე
## დარისპანის გასაჭირი
სურათი 1 მოქმედებად.
მონაწილეობენ: ბ-ნნი ვალ. გუნია, ვალ. შალიკაშვილი, ი. ზარდალიშვილი, ქ-ნნი: ე. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, მ. მდივანი, ა. ზოთაძე და ა. ასათიანი. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ბილეთები ამთავითვე იყიდება თეატრის კასაში. 1521

პირველ-ხარისხოვანი
## დიდი ცირკი
## ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპ., მუშტაიდ. შესავალთან, ნ. კუნდუროვის ადგილზე
დღეს, 5 ნოემბერს, 1913 წ. გაიმართება
### დიდი წარმოდგენა
ღირსით 5 კ.—2 მანეთამდე.
მე-16 დღე გამოჩენილ ფალავანთა ფრანგულ ჭიდაობისა. ეს ჭიდაობა მოწყობილია პეტერბურგის „ვესტნიკ სპორტის“ რედაქციისაგან და მოხდება თვით რედაქტორის ნ. ი. მეტროვის ხელმძღვანელობით. დღეს ჭიდაობენ: კოსტა მაისურაძე და წითელი მასკა, უკანასკნელი გადამწყვეტი ჭიდაობა მუხანურა და ჟანგ საიერისა, ივ. კაინისა და ლუკა კოპივისა, ჩემბერს ციპაი და ზალევსკი და სანდრო პანდელაკი და სეპენიკი. ანონსი: ამ დღეებში ბენეფისი კ. მაისურაძისა. ჭიდაობა დაიწყება 9-ნახევარ საათზე, თავდება 11 ს. დირექცია ძმ. ესიკოვსკებისა. 770

ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა **გ. მეჯრაბიანცი**
ღებულობს შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა— ძლიერ— და გულისა. შეთანაბრებული სპეციფიური ტუბერკულინური წამლობა. ხელოვნური პნევმოტორაქსი. რენტგენის ელვარებური სხივებით ფილტვებისა და გულის გამოკვლევა.
ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.
9—10 სათ. საწყლებს უფასოდ.
ბებუთოვის ქ. სახ. 23, ტელეფონი 7—92. 1516

ქართ. შ. წ.-კ. გამავრცელ. საზოგადოების
## გამგეობა
აცხადებს, რომ
კავკავის ქართულ სკოლისათვის
### საჭიროა გამგე.
გამგეს ეძლევა: ჯამაგირი 60 მან. თვეში და ბინა გათბობით და განათებით. მსურველმა საზოგადოების საბუთებით უნდა გამოგზავნოს ტფილისში წ.-კ. გ. თხოვნა მიიღება 15 ნოემბრამდე. 1913 წ. 1573

### რ. ა. პორტუგალოვისა
იუწყება, რომ საფაბრიკო მაღაზიაში, რომელიც იმყოფება ნიკოლოზის ხიდთან № 23—24,
### მიღებულია ახალი საქონელი.
სეზონის შემდეგ გადარჩენილი საქონელი ძლიერ იაფ ფასებში. იყიდება საფაბრიკო ფასებს 30% დაკლებით. დარწმუნებულნი ვართ, საქართველო მაღაზიაში მყიდველნი კმაყოფილნი დარჩებიან. აქვე შეიძლება შეკვეთა.
მიღებულია დიდი წყება **დამზადებული ტანისამოსისა.**
მამაკაცთათვის, ქალებისათვის და ბავშვთათვის. აგრეთვე მამაკაცების „კოსტიუმები“ და ქალების კაბები და კოფთები ცალ-ცალკე.
1491 პატივისცემით ძ-ნი პორტუგალოვისა.

ელექტრონის, რენტგენის სინათლის
### სამკურნალო
საწოლი ოთახებით
### მიხეილ გედევანიშვილისა
ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

## ტფილისის კერძო სამკურნალო
ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.
ტელეფონი № 590.
ტაცენტრალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | მანსვეტაშვილი მ. მ. ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>მაღალაშვილი გ. გ. სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1. ს.<br>ფიდლოროვი ე. გ. ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.<br>ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა. ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | მარკოვიჩი ვ. ლ. კონსულტატი ყოველ დღე 11½—12½.<br>მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.<br>ფირადოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი მორბიცკი-ფირადოვისა ლ. ყოველ დღე 11—12.<br>თიკანაძე ი. ე. ყოველ დღე 1—2.<br>მელიქიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½.<br>მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე 12½—1.<br>ფიდლოროვი გ. ს. ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ სნეულებ. და ელექ. | ჯავახიშვილი ნ. ნ. სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>ფონდოევი გ ს. ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | აღასიანცი ნ. ა. ყოველ დღე 12½—1½.<br>ორჯონიკ[illegible] ნ. ს. ყოველ დღე 1½—2. |
| თვალის სნეულ. | მუსხელიშვილი გ. ს. ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | დიასამიძე ა. ნ. ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლი 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1466

**ექიმი** გ. მ. ღოღობერიძე
ღებულობს ავადმყოფებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით. დღისით 1—3 საათამდე. საბებიო და ქალის ავადმყოფობანი. სლეპცოვის შესახვევი № 3. 1524

**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი**
ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.
იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 737.

დოქტორი
**ი. ო. უკლადნიკოვი**
ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობა. მიიღებს კვირა დღის გარდა დილით 9—10 ს. საღამოთი 6—7½ ს. კვირაობით 11—12 საათამდე ოლღას ქ., № 22, ტელეფონი № 12-25. 751

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს, ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 სათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

## სამკურნალო
სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა
გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3. ალექსანდ. ბაღ. მახლობლად ტელეფონი № 481.
ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.
აბულედიანი. შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.
ზელმანე. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.
ბოგუცკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.
ერმოლაევი—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.
ვორობიოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ და კვირ. 4—5 ს.
შამაში, სადოსტაქრო; ყ-დღ., 1—3 ს.
გრიგორიანი. ხირურგ. ავადმყ ყოველ დღე 11 ნახ.—11 ნ.ხ. საათ.
ასპისოვი— ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად ყ.-დღე 1—3 ს.
რუდენკო. შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.
ატენიანცი. ყელისა, ცხვირ., ყურ. და შინაგანი, 2—3 ს.
ი. ბ. ჩუდნოვსკი. ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.
თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.
მხიტარიანი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.
ნოვიცკი. ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.
კალამკაროვი. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.
ექ. ქალ. ოსხელიანი ქალური სნეულ. ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.
გეინბეცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.
ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.
ბაგდოევი—კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.
**სათვალეების არჩევა.**
კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an“-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

## ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
ე. ხ. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.
ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.
ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.
ექ. ქალი ოსხელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.
ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
მ. მ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.
მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.
**წამლობა „606“-ით** 1462

## საბურთალოზე
მშვენიერ ალაგას
ახლად აშენებულ ეკლესიისა და ცივდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თოქთოქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

**ექიმი** ი. ი. ბერიშვილი
სწამლობს საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, სათოფოს ტ. პირდაპირ. 102

**ექიმი** ვ. მუსხელიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ქ. გორში
**ექიმი** (დოკტორანტი). მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამეცნიერო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—2 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდაპირ. 1571

**ექიმი** პ. ლ. კიკალიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5½ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე
15 ივნისიდან მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.


## ნარკვევი
(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ს.-დ. ფრაქციაში მომხდარმა განხეთქილებამ პრესაში ბევრი წერილი გამოიწვია. ამ განხეთქილების გამო „ბოლშევიკების“ ორგანო სწერს:

„მუშებმა შესაფერი მსჯავრი უნდა დასდონ შვიდი კაცის ცდას —თავისი თავი პარტიად გამოაცხადონ. მუშათა ჯგუფებმა არ უნდა უცქირონ მდუმარედ, თუ როგორ შეარცხვენენ ს.-დ. პარტიას ეს რყევაში მყოფი თანამგზავრები სოციალ-დემოკრატიისა. მუშების ექვსი დეპუტატი—აი ვინ შეადგენს ნამდვილ ს.-დემოკრატიულ ფრაქციას სათათბიროში! და აი სწორედ ესენი უნდა გამოსულიყვნენ ასპარეზზე, როდესაც შვიდი ჯიუტობს განხეთქილების დროს. თუ მუშათა ექვსი დეპუტატი გამოვა როგორც სათათბიროს ფრაქცია, მათ შეუძლიანთ კიდევ შერიგების წინადადებით მიმართონ შვიდს. ეს შეთანხმება უეჭველად მოხდება, თუ კი შვიდს მაინც ჰსურს ს.-დემოკრატიის ნიადაგზე დარჩენა. რაც უფრო დააგვიანებს შვიდი ამ შეთანხმებას, მით უარესია მისთვის“.

ჩვენ — შეთანხმებას ვუჭერთ მხარს.

ლიკვიდატორები — განხეთქილებას. მუშების საქმეა აიძულოს შვიდეული, რომ შეთანხმებაზე დასთანხმდნენ და შეგნებულ მუშათა უმრავლესობის წარმომადგენლების თანასწორი უფლება ალიარონ“.

* *
*

ქართული საორშაბათო გაზეთის „ფიქრის“ პირველ ნომერში კი წინაამდეგს ვკითხულობთ. აქ მეთაურში ბრალს უქვს დეპუტატსა სდებენ:

ფრაქცია ორად გაიყო: ერთ მხარეზე დარჩა ექვსი დეპუტატი— „მეუმრავლესე“, მეორე მხარეზე კი რვა დეპუტატი—„მეუმცირესე“. ექვსი დეპუტატი მოითხოვს, რომ მათ ფრაქციაში ისეთივე ხმა ჰქონდეს კითხვების გადაწყვეტის დროს, როგორც რვა დეპუტატს აქვთ. ე. ი. ექვსი დეპუტატი მოითხოვს ფრაქციის მთლიანობის დარღვევას და ორი ნაწილის ფედერა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიულ კავშირს. რას ნიშნავს ეს? იმასა, რომ ამიერიდან აღარ უნდა არსებობდეს ერთი ფრაქცია, არამედ ორი, ყოველი გამოსვლა, ყოველი საკითხი ცალკ-ცალკე უნდა იქნას განხილული და შემდეგ საერთო კრებაზე გადატანილი,—თუ ორივე ფრთა შეთანხმდა ხომ კარგი, თუ არა და თითეული ცალკ-ცალკე გამოვა. ჰქონდათ თუ არა ექვს დეპუტატს ამისი საბუთი? საუბედუროდ, არა. ისინი თავიანთ ულტიმატუმში, რომელიც ფრაქციას წარუდგინეს, და ყველა თავის განმარტებაში ისეთ უმნიშვნელო რაღაცეებს ასახელებენ, რომ აშკარაა, ისინი მხოლოდ რაღაცას უცდიდნენ, საბაბს ელოდნენ და, საბაბის შოვნა, მომიზეზება, ხომ ყოველთვის ადვილია, საჭიროა მხოლოდ სურვილი იყოს. ასეთი სურვილი კი ცალკე არსებობაა. ექვსი დეპუტატი ალბათ დარწმუნებულია, რომ ლენინის მიმდინარეობისთვის ფრაქციული გათიშვა ხელსაყრელი იქნება ასეც იყოს, მაგრამ მუშათა კლასისთვის რომ ეს გათიშვა მავნებელია, ეს კი ცხადია, მუშების ძლიერება ერთობაშია, ხოლო გათიშვა-გაყოფა მათი დაცემაა. ასე უყურებს საკითხს ყველა შეგნებული მუშა. მაგრამ ეს ცოტაა. ფრაქციის რასკოლი მთელი დემოკრატიის დამღუპველია. დემოკრატიის ინტერესების ერთგული დამცველი მუშათა პარტიაა, დღეს პარტიის მებრძოლი ორგანო ფრაქციაა და, ცხადია, ამ ფრაქციის დაქსაქსვა მთელი დემოკრატიის დაქსაქსვაა, ხალხის ინტერესების წიხლის კვრა. ვინ უშველის საქმეს? ვინ მოსპობს განხეთქილებას? ისევ ის, ვის ღვაწლითაც შემოღებულია თვით „სახალხო წარმომადგენლობა". მხსნელი თვით მუშათა კლასია. იმის უნარზე და გამჭრიახობაზე ჰკიდია: სათავეშივე ჩაქრება ეს ძმათა შორის ომი, თუ კიდევ განაგრძობს არსებობას და ერე-მარეს მოწამლავს".

# ახალი ამბავი

### ტფილისი

◆ **ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარეს პეტერბურგიდან სენატორ ე. ვატაციდან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო:** „ფრიად მასიამოვნა თქვენმა თავაზიანმა სალამმა. გულითადს მადლობას გიძღვნით. ნორჩ ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მოქმედება და მისი განვითარების სწრაფი ზრდა მუდამ იწვევდა ჩემში გულ მხურვალე თანაგრძნობას. საუკეთესო გულითად სურვილებს ვუგზავნი საზოგადოებას. ვუსურვებ მას მომავალში გაფურჩქვნას და ნაყოფიერ მუშაობას. დარწმუნებული ვარ მომავალ სამის წლის საერობო ხარჯთაღრიცხვის შეწყობით საზოგადოებას სახსარი მიეცემა და შევა მოწესრიგებულ მჭიდრო კავშირში საერთო ერობისა და მთავრობის ორგანიზაციებთან მცხოვრებთა აგრონომიულ დახმარების გაწევაში. ვატაცი".

ეს დეპეშა გამოწვეულია საზოგადოების თავმჯდომარის დეპეშით: „პეტერბურგი, სენატორ ვატაცის: ნება მიბოძეთ თქვენ აღმატებულებას გამოუცხადოთ გულითადი მწუხარება, რომ ტფილისში არ ყოფნის გამო, პირადად არ შემეძლო გამოეცხადებინა თქვენთვის გულითადი მადლობა საზოგადოებრივ ორგანიზაციებისადმი თქვენი გულითადი მოპყრობისათვის. მათ შორის ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება თქვენ პიროვნებაში მუდამ ხვდავდა სოფლის მცხოვრების ეკონომიური გაუმჯობესობის მუდმივ დამხმარეს".

◆ **ავადმყოფ მგოსანს ი. ევდოშვილს** ყბის იარა გაუმშრალდა. უკანასკნელი ხანების სიცივემ ცუდად იმოქმედა მის დასუსტებულ ორგანიზმზე. ამის გამო დღეს ღამის მატარებლით (№ 9) იგი ქ. ფოთში მიჰყავთ. იქიდან კი გემით სოხუმში წაიყვანენ, სადაც, ექიმების რჩევით, მთელ ზამთარს გაატარებს.

◆ **რედაქციამ მიიღო.** ცალკე წიგნად გამოცემული „ორი ლექცია, ბარბარე ხერხეულიძისა". წიგნი 52 გვ. შეიცავს და ექვს შაურად ღირს.

◆ **დაეჯარიმონ თუ არა ტრამვაის დირექცია გაფიცვის დღეებისთვის.** —ამ საკითხის გადასაწყვეტად შაბათს, 2 ნოემბერს, ქალაქის საბჭოს სატრამვაიო კომისიას საგანგებო კრება ჰქონდა. კომისიის წევრნი ორ ბანაკად გაიყვნენ;—ერთნი ამტკიცებდნენ, გაფიცვა სტიქიური მოვლენა იყო, ეგრეთ წოდებული „ფორსმაჟორი" და ამიტომ დაჯარიმება შეუძლებელიაო"; მეორენი კი დაჯარიმებას აუცილებლად სთვლიდნენ, რადგანაც გაფიცვა თვით დირექციამ გამოიწვიაო. ხანგრძლივ კამათის შემდეგ კომისიამ დაადგინა, ეს საკითხი სიიურიდიო კომისიას გადასცეს თავის აზრის გამოსათქმელად.

◆ **სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის** 3 ნოემბერს სავაჭრო-სამეურნეო მეთვალყურემ ე. ლომიძემ ქალაქის მესამე უბანში 17 ოქმი შეადგინა.

◆ **ზედაზენის მონასტერში** გაემგზავრნენ გუშინ დილით: საქართველოს საეგზარხოსოს დროებით მმართველი ეპისკოპოსი გრიგოლი, გორის ეპისკოპოსი ანტონი და სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი ეროფეი.

◆ **სააგრონომიო დახმარება.** საგუბერნიო სააგრონომიო თათბირმა 2 ნოემბერს საჭიროდ აღიარა, საერობო თანხიდან მიეცეს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას: 1) ყოველ-წლიური დახმარება 6,000 მან. (ნაცვლად ახლანდელ 3,000 მანეთისა), საბაღოსნო სკოლის შესანახად, 2) 10,000 მან. ერთდროულად—სკოლისათვის წყლის მანქანის დასადგმელად, 3) 5,000 მან. ერთ-დროულად—საბაღოსნო სკოლასთან ღვინის სარდაფის მოსაწყობად, 4) 5,500 მან. (ნაცვლად ახლანდელ ყოველ-წლიურ 4,640 მანეთისა)—სასტატისტიკო ბიუროს შესანახად და 5) 2,500 მან. საკოოპერაციო ბიუროს შესანახად. ქართულ სამეურნეო საზოგადოების შუამდგომლობა თათბირმა სატექნიკო კომისიას გადასცა წინასწარ განსახილველად. ქართული საზოგადოება თხოულობს: 1) 1914 წლის—1,220 მან., ხოლო 1915—1917 წლისათვის—წელიწადში 3,000 მან., სადედე-საჩვენებელ ბაღებისა და ხილის სანერგეების გასაშენებლად და 2) 40,000 მან.—კახეთში ფილოქსერის წინააღმდეგ საბრძოლველად.

◆ კომპოზიტორი **კ. ფოცხვერაშვილი** გუშინ ტფილისში ჩამოვიდა, დღეს დილით იგი პეტერბურგს მიემგზავრება, სადაც კვლავ განაგრძობს მუშაობას გამოცდილის პროფესორის ბრუნის ხელმძღვანელობით.

### საზოგადოებანი და კრებები

◆ **ტფ. ქართველ ქალთა საზოგადოების** გამგეობის მეორე კრება შაბათს, 2 ნოემბერს, მოხდა. კრებამ განიხილა მიმდინარე, საორგანიზაციო ხასიათის საკითხები და საკვიტანციო წიგნები გაანაწილა. ყოველგვარი მიწერ-მოწერა მიიღება საზოგადოების მდივნის ნინო რცხილაძის ბინაზე (მოსკოვის ქ., 9) აქვე მიიღება ალმანახში დასაბეჭდი მასალები (დილის 9—2 საათამდე და სალამოს 5-დან 7 საათამდე).

◆ **ქალაქის საბჭოს საიურიდიო კომისიის** კრება დანიშნულია 7 ნოემბრისათვის. კომისიამ უნდა გადასწყვიტოს საკითხი ტრამვაის დირექციის მიერ ნიხრის დარღვევის შესახებ, რომელიც გამოიხატა იმაში, რომ დირექციამ ერევნის მოედნიდან მუშტაიდით ვაგზლამდე მისასვლელ ნიხრად 8 კაპ. დააწესა ნაცვლად წინანდელ 5 კაპეიკისა. დირექცია მგზავრებს კარგა ხანს 8 კაპ ახდევინებდა, ახლა კი, ისევ 5 კ. დააწესა.

◆ **საყინულეთა მოწყობის საქმის** მოღვაწეთა კრების მომწვევ კომიტეტის კრება 1 ნოემბერს მოხდა. კრებამ დაადგინა, სთხოვოს ტ. ა. ენფიანჯიანს, იკისროს კომიტეტის თავმჯდომარეობა ნაცვლად სენატორ ე. ა. ვატაცისა, რომელმაც თავმჯდომარეობას თავი დაანება. თავმჯდომარის ამხანაგად კომიტეტმა ამოირჩია ინჟინერი დუბროვინი ნაცვლად გარდაცვლილ ა. ა. ქალანთარისა. კრებაზე გამოირკვა, რომ ზოგიერთი დაწესებულება კომიტეტს დაჰპირდა ფულის გადადებას კრების მოსაწვევ ხარჯების გასასტუმრებლად, მაგრამ დღემდე ფულს არ იძლევა ამის გამო კომიტეტმა დაადგინა, სთხოვოს ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს და მეფის მოადგილის კანცელარიას, რათა ახლავე გადასწყვიტონ, რამდენს აძლევენ კომიტეტს ხარჯების გასასტუმრებლად.

◆ **ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** საბჭომ დაადგინა, სთხოვოს ტფ. საგუბერნიო სააგრონომიო თათბირს, იშუამდგომლოს, რათა 1914 წლისა და 1915—1917 წლებისთვის საერობო თანხიდან საზოგადოების სასარგებლოდ გადაიდოს: 10,220 მან. ხილის სადედე-საჩვენებელ ბაღისა და ხეხილის სანერგეების გასაშენებლად ტფ. გუბერნიის სამს პუნქტში და 40,000 მან.—კახეთში ფილოქსერის წინააღმდეგ საბრძოლველად.

◆ **სახალხო სკოლების მასწავლებელთა კრება.** ქ. შ. წ.-კითხვის გამავრცელ. საზოგადოების გამგეობამ დაადგინა, მიიღოს მონაწილეობა რუსეთის სახალხო სკოლების მასწავლებელთა კრებაში, რომელიც 23 დეკემბერს პეტერბურგში დაიწყება.

◆ **კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების** სასტატისტიკო ბიურომ ტფ. საგუბერნიო სააგრონომიო თათბირს სთხოვა, რათა იშუამდგომლოს, რომ საერობო თანხიდან ბიუროს ყოველ წლიურად ეძლეოდეს 5,500 მან. ამ ჟამად ბიუროს მიწათ-მოქმედების დეპარტამენტისაგან წელიწადში 1,000 მან. ეძლევა.

### რკინის გზებზე

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი **ს. ა. შჩეტინინი** ბაქოს მხრიდან ტფილისს დაბრუნდა.

◆ 4 ნოემბერს, პეტერბურგში სრულიად რუსეთის რკინის გზის მოძრაობის წარმომადგენელთა კრება დაიწყო. კრებამ უნდა გადასწყვიტოს ტექნიკურ და საფინანსო ხასიათის 50 საკითხი, რომელსაც კავშირი აქვს რკინის გზის მატარებელთა მოძრაობის ახალ წესის შემუშავებასთან. კრებაზე მონაწილეობის მისაღებად 1 ნოემბერს ტფილისიდან საჩქარო მატარებლით პეტერბურგს გაემგზავრა მოძრაობის უფროსი ი. გ. ზვენიგოროდსკი, რომელსაც თან წაჰყვა ტეხნიკოსი გ. ა. ბერიშვილი.

### სიღნაღი

◆ გუბერნატორმა დაამტკიცა ქ. სიღნაღის თვითმმართველობის ხელშეკრულება მოიჯარადრესთან, **ელექტრონით სიღნაღის განათებისა.**

### ახალციხე

◆ **საქონლის ჭირი.** სოფ. ცარაბასთუმანსა, ორჩოშანსა და მარელში საქონლის ჭირი მძვინვარებს.

# სასამართლო

**ბეგთაბეგიშვილისა, ფალავანდიშვილთა და სხვათა საქმე.**

16 ოქტომბერს ტფილისის ოლქის სასამართლოში დაიწყო განხილვა ქ. ბეგთაბეგიშვილის, ს. ფალავანდიშვილის, ა. ფალავანდიშვილის და ა. ჯავახიშვილის საქმე, რომელთაც ბრალდებაც ცეცხლის წაკიდება და დუქნის გაძარცვა. საბრალმდებლო ოქმის მიხედვით საქმის ვითარება ასეთია:

სოფ. ოკონაში (გორის მაზრა) როსტომოვსა და კარაპეტოვს სავაჭრო დუქანი ჰქონდათ. 1912 წლის 7 ივნისს ღამის 10 საათზე კარაპეტოვმა დუქანი დაკეტა და დუქანშივე დარჩა დასაძინებლად. გარედ კი ორი დარაჯი იდგა. მათ შორის ერთი—ბრალდებული ჯავახიშვილი. მალე კარაპეტოვი გააღვიძა ხმაურობამ. კარები დაარახუნეს, და დარაჯმა ჯავახიშვილმა აცნობა, პაპიროსს თხოულობენო. კარაპეტოვმა დარაბები გასწია, პაპიროსი მიაწოდა მუშტარს და დაზგისაკენ გაემართა უხალთუხიანის დასახურდავებლად, მაგრამ დუქანში ფაფახიანი ჩოხოსანი შემოვიდა, ხელში რევოლვერი ეჭირა, ხა რზე კი—ბერდანას თოფი. უცნობმა კარაპეტოვს თოფი მოუღირა და ფულები მოსთხოვა. კარაპეტოვმა ფული გადასცა. ამ დროს დუქანში კიდევ ორი შეიარაღებული უცნობი შემოვიდა, სახე ყაბალახებით ჰქონდათ ახვეული. მათ უბრძანეს კარაპეტოვს, უკან გაყოლოდათ, და გაიყოლიეს სოფლის გარედ. აქ კარაპეტოვმა თავისი დარაჯები ნახა, რომელთაც მეოთხე ბოროტ-მოქმედი სდარაჯობდა. ბოროტ-მოქმედებმა მათ ხელ-ფეხი შეუკრეს, დააწვინეს მიწაზე და თავზე ნაბდები გადააფარეს. მათთან ერთი დარჩა. სამი კი მიეფარა. სამი საათის შემდეგ დარაჯად მდგარმა მოხსნა მათ ნაბადი, უბრძანა ადგილიდან არ დაძრულიყვნენ და გაიქცა. კარაპეტოვი და დარაჯები წამოდგნენ ფეხზე და დაინახეს, რომ დუქანს ცეცხლი უკიდია. როგორც იყო განთავისუფლდნენ და დუქნისკენ გაექანნენ; მაგრამ დუქნის გადარჩენა შეუძლებელი იყო. გამოირკვა მხოლოდ, რომ დუქნიდან საქონელი გაეტანათ. დარაჯმა ჯავახიშვილმა ქ. ბეგთაბეგიშვილზე მიუთითა, როგორც ერთ მონაწილეთაგანზე. ბეგთაბეგიშვილი შეიპყრეს; იგი გამოტყდა და თავის მონაწილეებად დაასახელა: სამსონ და ალექსანდრე ფალავანდიშვილები და ნიკოლოზ წერეთელი. წერეთელი მიიმალა და აქამდის ვერ აღმოაჩინეს. ფალავანდიშვილებმა კი თავი დამნაშავედ არა სცნეს და განაცხადეს: ბეგთაბეგიშვილმა მტრობით დაგვასახელაო. ამ საქმის გამო გამოწვეული იყო 50 მოწმე. მოწმეების გამოუცხადებლობის გამო, საქმე ორჯერ გადაიდო და მხოლოდ 1 ნოემბერს დაიწყო განხილვა. ბრალდებულთ იცავენ: სამსონ ფალავანდიშვილს—ზელენსკი და მესხიშვილი, ალექსანდრე ფალავანდიშვილს—გეპშტეინი, ბეგთაბეგიშვილს—ბროდსკი და ჯავახიშვილს—გოფმანი.

სასამართლოში ბეგთაბეგიშვილმა დანაშაულობა აღიარა, სხვებმა—უარი სთქვეს.

მოწმეების ჩვენებით გამოირკვა, რომ ბოროტ-მოქმედების დღეს სამსონ ფალავანდიშვილი შუა ღამემდე გორში იყო და ღამე ერთ-ერთ სასტუმროში გაათია. დამტკიცდა აგრეთვე, რომ ბეგთაბეგიშვილსა და ფალავანდიშვილს შორის ჩხუბი მომხდარა. ალექსანდრე ფალავანდიშვილს მოწმეებმა დაამტკიცეს, რომ ამავე დღეს ალექსანდრე სტუმრად იყო სოფ. კნოლევში შალვა ფალავანდიშვილთან, რომელიც შვილის სახელწოდებას დღესასწაულობდა. მაგრამ მეორე მხრით მოწმემ საბაშვილმა სთქვა, რომ ამ დღეს თავ. სამსონ ფალავანდიშვილმა და ბეგთაბეგიშვილმა მისგან ცხენები იქირავეს და მხოლოდ მეორე დღეს დაუბრუნეს ძლიერ დიღლილი. თანაც სთხოვეს, თუ რამე გვითხრან, სთქვი, რომ ცხენები ამ ამბის შემდეგ იქირავესო. ბრალმდებელი და დაზარალებულთა დამცველები დანაშაულს დამტკიცებულად სთვლიან და მოითხოვენ ბრალდებულთა დასჯას და ზარალის ანაზღაურებას. ბეგთაბეგიშვილის დამცველი ნაფ. ვექ. ბროდსკი ამტკიცებს, რომ ბრალდებული უნდა გაასამართლონ 1609 მუხ. ძალით, რადგან იგი სიმთვრალის დროს არის ჩადენილი, არა წინასწარის განზრახვით, ლაზღანდარობით. სამსონ ფალავანდიშვილის დამცველნი ნაფ. ვექ. ზელენსკი და მესხიშვილი ბრალდებულის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებას დაუსაბუთებულად და გამოურკვეულად არა სთვლიან. ბრალდებულის გამართლებას მოითხოვენ.

ალ. ფალავანდიშვილის დამცველი ნაფ. ვექ. გეპშტეინიც მოითხოვს ბრალდებულის გამართლებას, რადგან დამტკიცებულად სთვლის, რომ ბეგთაბეგიშვილმა მტრობით დაასახელა ბრალმდებელი.

ჯავახიშვილის დამცველი ნაფ. ვექ. გოფმანიც მოითხოვს ბრალდებულის გამართლებას.

2 ნოემბერს სასამართლომ განაჩენი გამოიტანა, რომელთაც ჯავახიშვილი უდანაშაულოდ იცნო და გაამართლა. დანარჩენი ბრალდებულნი დამნაშავედ იქნენ აღიარებულნი და მიესაჯათ: ბეგთაბეგიშვილს—ღირსების აყრა და ოთხის წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა. მას მანიფესტის ძალით და აგრეთვე საპყრობილეში წინასწარ ჯდომის ჩათვლის გამო სასჯელი შეუმცირდა 1 წ. 8 თვემდე. ს. და ა. ფალავანდიშვილებს მიესაჯათ—ღირსების აყრა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა თითოს—ხუთ-ხუთი წლით. მანიფესტის ძალით კი სასჯელი 3 წ. 4 თვემდე შეუმცირდა. ამის გარდა მათ დაეკისრათ 5 ათასი მანეთის გადახდა დაზარალებულთა სასარგებლოდ.

# კავკასიის ქალაქების წარმომადგენლების მეორე კრება

ამ თვის 17-ს ტფილისში დაიწყება კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა კრებები. ყოველი ასეთი კრება დიდმნიშვნელოვანია და ფრიად სანუგეშო შედეგს მოიტანს, თუ კრება მხოლოდ გარეგან მხარეს არ მიაქცევს ყურადღებას, როგორც ეს მუდამ ხდება ხოლმე, და შინაარსიან მუშაობას იკისრებს. ეს კრებები იმართება დღესასწაულის სახით, წარმოითქმება ხოლმე ცხარე სიტყვები, შემდეგ ქალაქის თვითმმართველობისა თუ საზოგადოებებისა და დაწესებულებათა წარმომადგენელნი მართავენ ზეიმს, იწვევენ კრების მონაწილეებს, ათვალიერებინებენ ქალაქის სხვა და სხვა საყურადღებო ადგილებს და ამასობაში დრო გადის, საქმიანი მხარე მიტოვებულია გარდა ამისა კრება საქმიანიც რომ იყოს, შესაფერი შრომა გასწიოს და შესაფერი რეზოლიუციებიც გამოიტანოს, მისი ნაშრომი უნაყოფოდ ჩაივლის, თუ კრების დასრულების შემდეგ არ დარჩა მისი სურვილების განმახორციელებელი აღმასრულებელი ორგანო, რაიმე მჭიდრო ორგანიზაცია. ამ მხრივ ქალაქის წარმომადგენლების პირველი კრება, რომელიც აგრეთვე ტფილისში მოხდა არ იყო კარგად მოწესრიგებული: გათავდა თუ არა კრებები, მისი ხსოვნაც კი აღარ იყო. არავინ იცოდა, იყო თუ არა ამ ხნის განმავლობაში მუშაობა, გაკეთდა რამე თუ არა. ამ დროს კი ჩვენი ქვეყნის ქალაქების მდგომარეობა ისევ ისეთია, როგორიც იყო: არც სასანიტარო პირობები არის გაუმჯობესებული და არც სხვა უპირველესი მოთხოვნილება ქალაქების მცხოვრებთა არ კმაყოფილდება. კერძოდ ტფილისში შეიძლება დიდი ყურადღება მიაქციეს ზოგიერთ ნაწილების გაუმჯობესებასა, მაგალითად, როგორც სოლოლაკს; მაგრამ დანარჩენი ნაწილები და განსაკუთრებით კი ის განაპირა ნაწილები, რომელნიც რაღაც მიზნით ჩვენი ქალაქის გამგეობას გერადა ყავს მიჩნეული, ისეთ ანტისანიტარულ მდგომარეობაში იმყოფებიან, რომ ძნელი წარმოსადგენია; არ არის გაყვანილი სიბინძურის არხები, ქუჩები მოუკირწყლავია, ზოგგან წყალსადენი მილებიც კი არ არის გაყვანილი, ასეთია დიდუბე, ასეთია საბურთალო, ვაკე, ნაძალადევი და ავლაბარიც კი.

გაიხსნება თუ არა კრება, ჩვენი ქალაქის მამები ერთი მეორეს არ აცდიან და კრების მონაწილეთ ატარებენ ხან საავადმყოფოებსა, ხან ახალ სასალახოსა და სხვაგან, რადგანაც დარწმუნებული არიან, კარგ შთაბეჭდილებას დასტოვებს, ამით ისინი თვალებს უხვევენ აუარებელ ნაკლზე და საქმისაგანაც აცდენენ კრების მონაწილეთ. მომავალ კრების სამოქმედო გეგმაში შეტანილია „სადღესასწაულო წარმოდგენები" „სხვა და სხვა დათვალიერება", მაგრამ გეგმა მაინც იმდენად საინტერესო და ვრცელი, რომ მისი მეათედიც რომ შეასრულოს კრებამ, დიდი შეღავათი მიეცემა ქალაქის მცხოვრებლებს, რომლის გულწრფელ მადლობა დაიმსახურებენ კრების მონაწილენი. ამიტომ ვიმედოვნებთ, რომ მეორე კრების მონაწილენი ნაკლების ყურადღებით მოეპყრობიან სხვა და სხვა ექსკურსიებს და სადღესასწაულო წარმოდგენა-ნადიმებს და მეტს დროსა და ყურადღებას მოანდომებენ ქალაქების ულარიბეს ნაწილის სა ყოველდღეო საჭიროების საკითხების გადასაწყვეტ ზომებს.

**კორდელი.**

# ჩვენებური სოფლები და ინტელიგენცია

(გაკვრით)

მკითხველს მოეხსენება, რომ ჩვენი მხარე არის, და ჯერ კიდევ დიდხანს დარჩება, მეურნეობის ქვეყნად და ჩვენს ეროვნულ ძალას შეადგენს უმთავრესად, სოფლად მცხოვრები მშრომელი გლეხობა; ამიტომაც, თუ კი სწადია ჩვენებურ იდეურ ინტელიგენციას (განსაკუთრებით ქალაქებში უსაქმოდ დარჩენილთ) პირნათლად იყოს თავის ზნეობრივ მოვალეობის წინაშე,—სოფელს კი არ უნდა გაურბოდეს, პირიქით, ქალაქებიდან დაიძრას სოფლებისაკენ და უხელმძღვანელოს მას, როგორც მეურნეობის, აგრეთვე საზოგადოებრივ ცხოვრების გონივრულად მოწყობაში.

ქალაქებში მრავლად შეხვდებით განათლებულ კაცებს, რომელნიც წლითი-წლობით ამაოდ ეხეთქებიან ერთი სამმართველოდან მეორეს და სულის სიმწარით მოელიან თუნდა უბრალო მწერლის, 20—30 მანეთიან ადგილს, მაშინ, როდესაც მათ დიდს უმრავლესობას, შეეძლო მატერიალურად ბევრად უკეთეს პირობებში შეხიზნებოდნენ სოფლებს და ამასთანავე დიდი სამსახური გაეწიათ უკანასკნელთათვისაც.

თუ რამდენად მიტოვებულია ჩვენებური სოფლები, მე მინდა მრავალი სხვათა შორის, დავასახელო ერთი კონკრეტული მაგალითი. ჩვენ შემთხვევა გვქონდა, ამ ცოტა ხნის წინად, დავკვირებოდით სოფელ დიღომის ცხოვრებას და თვალ-წინ შემდეგი უსიამოვნო სურათი გადაგვეშალა: ეს სოფელი იმდენად მოზრდილია, რომ იქ 400 კომლს მცხოვრებზე მეტი ითვლება; იგი დაშორებულია ტფილისს რაღაც რვაოდე ვერსით; აქვს შედარებით, საკმაო სახნავ-სათესი, სავენახე, საბაღე და სხ. ადგილები. ამ გვარად, იქაურ მცხოვრებთ შეძლება აქვთ, არამც თუ მეურნეობის ნაწარმოები, უბრალო ნაფოტიც კი ჩამოიტანონ და ჯეროვან ფასად გაასაღონ ისეთს დიდ-სტომაქიან ბაზარზე, როგორიც ტფილისია.

ყველა, ცხოვრებაში ჩახედულისთვის, აშკარა უნდა იყოს, რომ ამ გვარ, შედარებით ხელსაყრელ პირობებში მყოფი სოფელი, საკმაოდ ღონიერი უნდა იყოს, როგორც ეკონომიურად აგრეთვე კულტურულადაც, მაგრამ სულ უბრალო (თითქმის ქოხ-მახი) შენობები (ცოტაოდენ გამონაკლისის გარდა), უსუფთაობა—სიბინძურე და ამასთანავე გონების მასაზრდოებელ დაწესებულებათა უქონლობა, აშკარად მოწმობს, რომ ტფილისის მეზობლად მყოფი სოფ. დიღომი ბევრით არ განირჩევა სხვა მიყრუებულ სოფლებისაგან, რომლებიც ასი ვერსით მეტითაც არიან ქალაქებიდან დაშორებულნი.

ამოდენა სოფელში მხოლოდ ერთად-ერთი, ისიც ერთკლასიანი, სამრევლო სკოლა არსებობს. ვერც წიგნთსაცავ-სამკითხველოს და ვერც სხვაგვარ კულტურულ დაწესებულებას იქ ვერა ნახავთ. სამაგიეროდ შეხვდებით სოფლებისათვის არსად არ გაგონილ მრავალრიცხოვან ისეთ „დაწესებულებას", რაშიაც, უმთავრესად, განხორციელდა ბიუროკრატიული „კულტურა": სოფელი დიღომი ინახავს მთელს შვიდ სამიკიტნოს. ჩვენ მოწმე ვიყავით, როცა ერთი, არა მცირე რიცხოვანი, სოფლის ახალ-გაზრდობა, ბახუსით გაბრუებული, ხელი-ხელს გადახვეული, „გარმოშკის" ჭყივილით და აურ-ზაურით, არღვევდა სოფლის მყუდროებას.

— ეხლა ხშირია ჩვენში ასეთი ამბავი—შემოგვჩივლა ერთმა იქაურმა მოხუცმა გლეხმა—ჩვენმა ახალ-გაზრდობა თითო-ოროლა გროშს იშოვის თუ არა, გადადის ერთი სამიკიტნოდან მეორეში, გარჯა—მუშაობაზე გული აცრუებული აქვს და, თუ რამე შენიშვნა მიეცი,—უდიერად გაგლანძღავს-გაგათრევსო.

რაც გინდა მცირედი ვიანგარიშოთ, თითო სამიკიტნოს შენახვა დაუჯდება სოფელს არა ნაკლებ ასი თუმნისა. მაშასადამე, იმ შვიდ სამიკიტნოზე სოფ. დიღომს ეხარჯება 7000—8000 მანეთი და ამდენი წყალში გადაყრილი ფულით ხომ შეიძლებოდა სოფელს შეენახა მშვენიერად მოწყობილი, ყოვლად სასარგებლო სამეურნეო სკოლაც, სამკითხველოც და კიდევ სხვა სოფლის გონებრივ-ქონებრივად გამაღონიერებელი, კულტურული დაწესებულებანი.

თუ ასეთს სამწუხარო სურათს ვხედავთ კარგს პირობებში მყოფს, მრავალ-რიცხოვან სოფელში, რომელიც რაღაც რვაოდე ვერსტით არის დაშორებული ჩვენი მხარის კულტურულ ცენტრს—ტფილისს, რაღა უნდა ითქვას მიყრუებულს, ათასგვარი სვავ-ყორნებისთვის მიტოვებულ სოფლებზე.

დიახ, განუსაზღვრელი სარგებლობის მოტანა შეუძლიან ჩვენებურ სოფლებისათვის იდეურ ინტელიგენციას და ვისაც მართლა გულით სწადიან ხალხის სამსახური და, მშრალ იდეიასთან ერთად, მოეპოვება მოქალაქობრივი გაბედულობაც,—უნდა მიაშუროს იმ გვარს, თუმცა ნარეკლით მოცულს, მაგრამ მადლიან ასპარეზს, როგორიც არის ჩვენს დროში სოფლად მოღვაწეობა.

**გ. ა—ციხელი.**

# სომეხთა ცხოვრება

**ს. ზავარიანის დაკრძალვა.**

კვირას, 3 ნოემბერს, ტფილისში მოხდა სომხის საზოგადო მოღვაწის და აგრონომის სიმონ ზავარიანის დაკრძალვა. დილის 10 საათზე ვანქის ტაძარში დაიწყო წირვა. მწირველმა ეპისკოპოსმა მესროპმა სიტყვა წარმოსთქვა. წირვის შემდეგ მწირველის მეთაურობით ვანქის ტაძრის გალავანში სამღვდელოების თანადასწრებით გადახდილ იქნა პანაშვიდი. ცხედარი მიასვენეს ხოჯივანქის სასაფლაოსაკენ. განსვენებულის კუბო გვირგვინების მაგიერ შემკობილ იყო ცოცხალი ყვავილებით. ტაძრის გალავანში შედარებით ხალხი ცოტა იყო, ხოლო გზა და გზა ხალხმა იმატა. განსვენებულის კუბო სასაფლაომდე მდაბიო ხალხს მიჰქონდა. სამარე მორთული იყო ცოცხალი ყვავილებით და მწვანით. სასაფლაოზედაც არც ერთი სიტყვა არ წარმოთქმულა. ნაშუადღევის 2 საათზე მიწას მიაბარეს ხალხის მოამაგის სიმონის გვამი.

—

1 ნოებერს, ღამის 11 საათზე გაზ. „ჰორიზონის" რედაქციაში ცეცხლი გაჩნდა. გადაიწვა კანტორის ერთი ნაწილი, ხელმომწერელთა

სიის წიგნები და რვეულები. ცეცხლი ჩააქრო ცეცხლის მქრობელმა რაზმმა.

—

ამ დღეებში მოხდება სომხეთა სამეურნეო საზოგადოების კრება, საზოგადოების დამარსებლის და თავმჯდომარის განსვენებულ ალ. ქალანთარის მაგივრად ახალი თავმჯდომარის ასარჩევად. ჯერ-ჯერობით თავმჯდომარის თანამდებობისათვის ასახელებენ აგრონომ' არტემ ფირალოვს, ხოლო თავმჯდომარის ამხანაგის თანამდებობისათვის კი ავეტის სააკიანს.

—

განსვენებულ ალ. ქალანთარის სიკვდილის გამო გაზ. „მშაკის" რედაქცია და განსვენებულის მეუღლე შვილებითურთ, გაზ. „მშაკის" საშვალებით უღრმეს მადლობას სწირავენ ყველა იმ დაწესებულებას და საზოგადოებებს, რომელთაც ქეთილ ინებეს და დეპეშებით, წერილებით ანუ პირადად სამძიმარი გამოუცხადეს ალ. ქალანთარის უეცრად გარდაცვალების გამო.

—

8 ნოემბერს ქ. განჯაში გაირჩევა საქმე სოფ. ზაგლიკის მამასახლისის სარქის მანველიანის, მღვდელი ხოჯაიანის და სხვათა საქმე, რომელთაც ბრალდებათ „დაშნაკციუთიუნის" პარტიის წევრობა და მთავრობის წინააღმდეგ მოქმედება. ბრალდებულთა რიცხვი 14-ია, ხოლო მოწმეთა 80-ი. დაიცავენ ნაფიცი ვექილები გ. ხატისიანი, სკარიატინი და სოკოლოვი.

## პატარა ფელეტონი.

### ზღვასთან...

(ვუძღვნი ქიათურის საზოგადოებას)

ზღვასთან...

ზღვასთან მოგელი...

აი, ვდგევარ რიყეზე, ვით გარიყული, და გელი...

გელი, მოგელი ზღვისა ნაპირას, და ჩემს მოლოდინს არ აქვს საზღვარი, ვითა 'მავს ზღვასა,—ივერთა მეების ნაკადულთ გულსა...

შიგ ვიხედები, ვხედავ მხოლოდ სხივს მაღლიდან მზისას ზე დაშუქებულს, ვით მონა ქალის პირზედა ღიმილს. .

ზე ვაცქერდები, იგი ზღვაა...

ზღვა, ვით შენი გული! გული, ხან უცნაურად მიყუჩებული .. ხან-კი თამამად, სიცოცხლის ნიშნად, ატოკებული!...

შიგაა ჩემი ტრფობისა ნავი; ხოლო ნავშია ჩემი სატრფოი, ვით პატარძალი, ედემის ვარდით შეკონებული...

მისკენ მიილტვის, ვითა ჩანჩქარა მთის ნაკადული, მოლოდინისა სული და გული; ხოლო ნავი კი ტალღებსა შორის დასცურს რხეული, ნავთსაყუდელსა დაშორებული...

გაერთო!...

მან გადუხვია დანიშნულ კვალსა; იმედის ნავი ასცდა მიზანსა...

—

მზემ გადიხარა, სხივები დღისა მან მოიკრიბა და ესვენება შეწითლებული, ვითა ქაბუკი დანიშნულისგან განშორებული.

ცა შეიმოსა სისხლისა ფრადა, ვით ომის ველი დაჭრილთ სისხლითა; და იგი ზღვასა ზე დაჰფენია, ნიშნად ბრძოლისა, მით სიკვდილისა და სიცოცხლისა...

მზე ცას უსხლტდება, ზღვაში ეშვება, თითქო მას სურდეს მით გაგრილება და განკურნება...

და ჩაესვენა; დამარცხებულმა დღემ განისვენა; მით გამარჯვებულ ღამემ სიბნელე გარს მიმოფინა...

—

ღამეა, გარს სიბნელეა...

მით დამიბნელდა მხედველი თვალი; ველარა ვხედავ, საით ისწრაფის ჩემი სატრფოის იმედის ნავი...

მას მოჰყვა ქარი, ვით ჯოჯოხეთით წამოქროლილი, და ზღვა აღელდა, ღელავს ზვირთებად გარდაქცეული...

მე მიკვნეს გული, მეხუთვის სული! ვდგევარ უძრავად აღშფოთებული და მას მოველი ტანჯვად ქცეული!..

მაგრამ გვალვისგან ვარდმა დაწყლულმა, ვით გაიხაროს, თუ არ ბულბულის ნაფრქვევმა ცრემლმა, მასზე დენილმა, მით სხურებულმა.

მაშ, აქ რას ვაქნევ მისთვის შობილი, ცოცხალი მკვდარსა დამგზავსებული?..

—

აი, მოვცურავ შენთან, საგულე!.. რას კრთი, ეგ ნავი გამოცდილია, ამ ზვირთებ შორის მრავალი ღამე გაუთენია...

ეს ხომ ბუნებას სჩვევია, შეურყეველი მის კანონია: ღამის დღე მოსდევს სიხარულისა, სიკვდილს სიცოცხლე აქ ცხოვრებისა.

და, მეც,—ვიდრემდე გათენდებოდეს, დღისა სინათლით ნავთსაყუდელსა დაინახავდეს, — სანიადაგოდ რკინის ლუზათა შიგ ჩავეშვები და ზღვის უფსკრულში მით დავმშვიდდები და განვისვენებ...

**ს. გლახაშვილი.**

## კადნიერება თუ პედაგოგიური სიბეცე?

**პასუხად ბ. კორდელს**

(შემდეგი *)

გოგებაშვილის სახელმძღვანელო ჯერ-ჯერობით ერთად-ერთია ქართველ ბავშვებისათვის და ამის გამო მისი შედარება სხვა ასეთსავე სახელმძღვანელოსთან შეუძლებელია. იგი, ასე თუ ისე, ასრულებს თავის დანიშნულებას, თუმცა ბევრს არ აკმაყოფილებს სავსებით.

„რუსსკოე სლოვოს" შემდეგ, რომელსაც ასწავლიან უფრო სოფლად, გადადიან სხვა რუსულ სახელმძღვანელოებზე, რომელთა რიცხვი მრავალია: გრიგორიევი და ოლენინი, დავისი, ვოლპერი, ვახტეროვი, ნოვაია ნაროდნაია შკოლა, ნოვაია შკოლა, კორხანიდი, ახოტა პუშჩე ნევოლი, მარტინოვსკი (ორ კლასიან სკოლებში) და მრ. სხ.

არსებული სახელმძღვანელოები (სახეში გვაქვს არა პირველ-დაწყებითნი) არ გვაკმაყოფილებდნენ ჩვენ სავსებით არც თავისი გეგმით, არც მასალის შერჩევით, არც ამ უკანასკნელის დამუშავებით. რუსის ბავშვებისათვის შედგენილნი, ისინი, ცხადია, ნაკლებად გამოსადეგნი არიან არა რუსთათვის, ხოლო ამ უკანასკნელთათვის შედგენილნი, ჩვენის შეხედულებით, ცოტად თუ ბევრად ღალატობდნენ თავის დანიშნულებას.

არარუსთათვის დანიშნული რუსული ენის სახელმძღვანელო თხოულობს განსაკუთრებულ სიფრთხილეს მასალის შერჩევის დროს და ამ მასალის განსაკუთრებულ შემუშავებას. და აი ჩვენც შევეცადენით, შეძლებისა და გვარად შევადგინეთ და გამოვეცით ახალი სახელმძღვანელო რუსული ენისა, „მეთოდიურ ქრისტომატიის" სახელით, ორ ნაწილად. თუ მივაქცევთ ყურადღებას იმ გარემოებას, რომ პირველი ნაწილი „მეთოდიური ქრისტომატიისა", გამოსული პირველად 1910 წელში, მომავალ ზაფხულს იბეჭდება მეხუთე გამოცემად, ხოლო მეორე ნაწილი, ამ ზაფხულს პირველად გამოცემული, სულ გამოილია და ეხლა იბეჭდება მეორე გამოცემად, შევნიშნავთ, რომ ჩვენი დიაგნოზი არსებულ სახელმძღვანელოების შესახებ სწორი ყოფილა. ჩვენი სახელმძღვანელო მოეწონა მასწავლებელს, სასარგებლოდ სცნო მან იგი და შემოიღო. თვით ადგილობრივი პრესსაც თანაგრძნობით შეხვდა თავის დროზე ჩვენ სახელმძღვანელოს. მტრულად დახვდა პირველ ნაწ. ჩვენი სახელმძღვანელოისას მხოლოდ განსვენებული ი. გოგებაშვილი (მაშინ მეორე ნაწილი არ იყო გამოსული) და შეაჩვენა, მუნჯური მეთოდით არის შედგენილიო; აგონებდა მასწავლებლებს ლევიტსკის, ვოსტორგოვს—ცხადია, რისთვისაც, ამაზე თავის დროზე ღირსეული პასუხი მიიღო განსვენებულმა ბ. პედაგოგისაგან გაზ. „კოლხიდა"-ში". ცხოვრებამაც პასუხი გასცა: წიგნი სწრაფად გავრცელდა არამც თუ ქართულსა, არამედ სომხის და თათრის სკოლებში.

ახლა მეორე ნაწილი „მეთოდიური ქრისტომატიისა" არ მოეწონა ვინმე კორდელს, რომელმაც, როგორც ზემოდ იყო მოხსენებული, გამოილაშქრა ამ ნაწილის წინააღმდეგ „სახ. გაზეთში". ბ. კორდელმაც ძველ ხერხს მიმართა—საზოგადოების დაშინებას: ღმერთი იწამეთ, ხელი არ ახლოთ, ზედ არ შეხედოთ, თორემ გარუსდებითო, გარუსების ტენდენციით არის განჟღენთილი წიგნიო; იგი წაშლის მოწაფის სულში ყოველივე გრძნობას სამშობლო ოჯახისადმი, ენისადმი, წაშლის ყოველივე კარგს, წმინდას; ჩაუნერგავს გადაგვარების თესლს; საფრთხეს უმზადებს ბავშვს და სხვა და სხვა. და რომ მეტი შთაბეჭდილება მოახდინოს და თავზარი დასცეს მშობლებს და მასწავლებლებს, ვოსტორგოვს აგონებს და ამბობს: „სახელმძღვანელო იმდენად გაჟღენთილია რუსული სულით, რომ ვოსტორგოვებიც კი ვერ ინატრებდნენ უკეთესსაო".

*) იხ. „სახალხო გაზეთი" № 1034.

## დააჩქარე! დააჩქარე!

და, ის ვინც გაქრებდა! და ის, ვინც გალხინდა!—
ნუ თუ ერთხელ მაინც აღარ გაგახსენდა!?
ნუ თუ გახდი ისე ცრუ, ბოროტი, მავნე—
რომ წერილი ერთხელ აღარ გამოგზავნე!?..
დააჩქარე,—გესმის?—დააჩქარე მალე,
თორემ იმ შენს დობილს ვერსად დავემალე—
თავს მევლება ისე, ვით მზის ნამცვრევს ვარდი,
თითქმის შემიყვარდა, თითქმის შეუყვარდი,
და წამიყვანს სადმე მკერდზე მისაყრდნობლად...
და დამრჩები მარტოდ, უნუგეშოდ, ობლად...

. . . . . .

აი ეხლაც, როცა მე, ცრემლის მფრქვეველი,
შენგან დანავიწყი შენსა წერილს ველი,
ეხლაც! ეხლაც! მეთქი, ის შენი დობილი
ჩემს მაგიდას უზის იდაყვ-დაყრდნობილი
და ცეცხლის ფერ ხმითა ყურში ჩამჩურჩულებს:—
„ჩემსავითო, გწამდეს, ვერვინ გიერთგულებს!"
აი გადაიძრო თავიდან თავ-შალი,
აი გადიყარა კოხტად თმა ნაშალი
და ცრემლები თეთრი, და ცრემლები წმინდა
ნელ ამბორის ყოფით ღაწვზე მომიწმინდა...

. . . . . .

ჩქარა! ჩქარა! ჩქარა! თორემ შენ მზეს ვფიცავ
იმ შენს დობილისგან თავს ვიღარ დავიცავ—
საალერსოდ მიწვევს შენსა ლექსთა-მწყობელს,
და წაგართმევს ჩემს თავს, და წაგართმევს მკობელს;
დააჩქარე,—გესმის?—დააჩქარე მალე,
თორემ იმ შენს დობილს ვერსად დავემალე—
თავს მევლება, ისე ვით მზის ნამცვრევს ვარდი,
თითქმის შემიყვარდა, თითქმის შეუყვარდი
და წამიყვანს სადმე მკერდზე მისაყრდნობლად...
და დამრჩები მარტოდ, უნუგეშოდ, ობლად...

**ი. გრიშაშვილი.**

რად გვეპარათ სირცხვილი, როდესაც ამებს სწერდით, ბ. კორდელო? მიდი და ნუ მომაგონდება უკვდავი ილიას სიტყვები: მწერლის კალამი განა ნიჩაბია, რომ დამნაშავეს და უდანაშაულოს ტალახი ასხაო. ნუ თუ მართლა გგონიათ, ბ-ნო კორდელო, რომ იცავთ ქართულ სკოლის ინტერესს? ვაი, რომ დათვის სამსახურს უწევთ. ამგვარ მზრუნველობით თქვენ სულ დაღუპავთ სკოლას და, თუ გვკითხავთ, ქვეყანას რომ პატრონი ჰყავდეს, სწორედ თქვენგან და თქვენისთანებისაგან უნდა დაცულ იქმნას ჩვენი სკოლა არა ნაკლებ, ვიდრე ვოსტორგოვისაგან...

რატომ არ დაფიქრდით, ბ. კორდელო, რომ თქვენ ჩვენი წიგნის შეჩვენებით გულუბრყვილო მასწავლებელს და მშობელს სტოვებდით არსებულ სახელმძღვანელოების ანაბარად და მით სწორედ თქვენ უწყობთ ხელს ვოსტორგოვების მისწრაფებათა განხორციელებასა და არა ჩვენ.

წარმოიდგინეთ, ბ. კორდელო, გაწყრა ღმერთი, აღმოჩნდა მასწავლებელი ან მშობელი, რომელმაც თქვენი რეცენზიის შემდეგ მოგმართათ შემდეგის თხოვნით: ბ-ნო კორდელო! ჩვენმა ბავშვებმა გაათავეს გოგებაშვილის „რუსსკოე სლოვო". ის იყო გვინდოდა ვოსტორგოვების მიმდევარ ჩვენი კაცების წიგნი „მეთოდიური ქრისტომატია" მიგვეცა ხელში ჩვენი ბალღებისათვის, კარგი რომ თქვენმა რეცენზიამ მოგვისწრო და გადაგვარჩინა ჩვენც და ჩვენი ბავშვებიც „საფრთხეს". გთხოვთ, ბ-ნო კორდელო, განაგრძოთ თქვენი ჩვეულებრივი მზრუნველობა და დაგვისახელოთ დანარჩენ არსებულ სახელმძღვანელოებიდგან, რომელს გვარჩევთ?" რა პასუხს გასცემთ, ბ-ნო კორდელო? პასუხი კი უნდა გასცეთ, უნდა გასცეთ უეჭველად! და ვიდრე თქვენ ამ პასუხს გასცემდემდე, ჩვენ შევეცდებით დაგიმტკიცოთ თქვენი აზრების ყოვლად უსაფუძლობა.

**იაკ. ზედგინიძე და ვ. ჯაფარიძე.**

(შემდეგი იქნება)

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** კიდევ ერთი კარგი, სასიამოვნო წარმოდგენა. ეს იყო კვირას წარმოდგენილი სუვორინის და ბურენინის „მედეა". ჩვენის კოლხეთის გმირის ქალის ცხოვრება ბევრს დრამატურგს აუღია თავის შემოქმედების საგნად. მედეა ზექალია, მეტად ძლიერი არსება, იგი მამაკაცის მეტოქეა, მოითხოვს სრულს ადამიანობას, თანასწორობას, ეძიებს სიცოცხლის სავსებას, და შეუბრალებელია, როდესაც შეურაცხყოფენ მის ქალობას—ადამიანობას, მის ცოლისა და დედის ღირსებას. დღევანდელი ქალი ისე დაშორებულია მედეას, როგორც დედამიწა ცას, და განვითარებას გზა სწორედ იქითკენაა მიმართული, რომ დედაკაცი დაიხსნას მონობისაგან და მიანიჭოს მას ის უფლება, თანასწორობა, რომელსაც ისე თავგანწირულად ეტრფოდა მედეა.

როგორც ვთქვი, მედეას ცხოვრებიდან დაწერილია ევროპიულ ენაზე რამდენიმე ტრაგედია, ორი-სამი გამოჩენილი დრამატურგების მიერაც. სამწუხაროდ ჩვენი სცენა იცნობს მხოლოდ ზემოდასახელებული ავტორების პიესას, რომელსაც ეხლა იშვიათად თამაშობენ რუსულ თეატრებშიაც. განა არ შეიძლებოდა, თვით ევრიპიდეს—მედეას პირველ მგოსნის—ტრაგედია წარმოედგინათ ჩვენს მსახიობებს? ანტიურ ტრაგედიებში ბევრი მხატვრული განძია და მათი გაცნობა საზოგადოებისა და მწერლებისთვისაც დიდად სასარგებლოა.

მედეა, უეჭველია, ნ. ჩხეიძის ერთი საუკეთესო როლთაგანია. ნიჭიერმა შემოქმედმა იშვიათის პაფოსით ჩაატარა მთელი როლი თავიდან ბოლომდის. გამოსვლისთანავე მისი სიტყვები იყო: ჩვენი სახელი უბედურები არისო.—და უბედურების დაღით იყო აღბეჭდილი ყოველი მისი სიტყვა, მიმოხვრა, სახის გამოხატულება. ეჭვებით იყო შეპყრობილი, გული მოსწყვიტა უმსგავსმა, შეურაცხყოფამ, იტანჯებოდა როგორც დედა, თუ საშინელის შურის ძიებით იყო ატყინებული, მისი სიტყვები ხმალივით ჰკვეთავდნენ მსმენელთ, თვალები ცეცხლს აფრქვევდნენ და მსახიობი ძლიერის მხატვრულის მისნობით იმონავებდა საზოგადოებას. არავითარი განცდა არ შეედრება იმას, რომელსაც განიცდის ადამიანი, როცა ეზიარება ხელოვნების სულიერს კვეთებას. ესეთი იყო კვირას დამსწრე საზოგადოების განცდა და ეს უდიდესი გამარჯვებაა მხატვარის მსახიობის. ყველას ამოსკდა გულწრფელი ლამაზი გრძნობა და აღტაცებით, აღფრთოვანებულის მადლობით დააჯილდოვეს მოთამაშე.

არა უშავდა დანარჩენ აქტიორების თამაში, მაგრამ ყველანი ჩაჩრდილა ნ. ჩხეიძის დიდმა ხელოვნებამ.

**კალამი.**

P. S. მომავალს ხუთშაბათს საგანგებო წარმოდგენას ჰმართავს დრამატიული საზოგადოება თავის ფონდის გასაძლიერებლად. განიმეორებენ მთლად „ინსტიქტს" და „უნიადაგობის" პირველს მოქმედებას, ხოლო ახლოდ იქნება წარმოდგენილი ჰაუპტმანის ცნობილი პიესა „ჰანნელე". რეჟისორობენ სამივე რეჟისორი, წარმოდგენაში მონაწილეობას იღებენ ყველა საუკეთესო ძალები. წარმოდგენა მეტის-მეტად საინტერესოა და სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქართველი საზოგადოება სრულის თანაგრძნობით მიეგებება ჩვენი სცენის გამგეთა განზრახვას და დაეხმარება მათ ძმძიმე მოვალეობის შესრულებისათვის.

ქ.

**ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი.** კვირას, 3 ნოემბერს, წარმოდგენილი იყო ა. ცაგარლის 3 მოქმედ. კომედია: „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ". პიესა უნაკლულოდ შესრულდა. რეჟისორის მადლიანმა სულმა ერთხელ კიდევ იჩინა თავი. სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინეს სოფლის გოგონებმა, რომლებიც მოვიდნენ თავიანთ მეზობლის ქალის ქორწილში. მათ შორის ყველაზე მეტს ყურადღებას იპყრობდა ქ-ნი ე. ცომაკურიძისა (ლიზას როლში), შესაფერი ლეკურის თამაშითა და გარმონის დაკვრით. უნაკლოდ ჩაატარეს აგრეთვე თავიანთი როლები ქ-ნთ ნ. კორინთელისამ, (კატოს როლში), ს. რომანიშვილისამ და მ. ქართველიშვილისამ (ორომეს როლში). ბევრი აცინა დამსწრე საზოგადოება ბ-ნმა ნ. გოცირიძემ. გამოჩნდა თუ არა სცენაზე, დაუსრულებელი ტაშის კვრით მიეგებნენ და მიართვეს მშვენიერი თაიგული. შეუდარებელი იყო ბ-ნი ზურაბიშვილი (გიგუას როლში). ვ. ნინიძემაც ბევრი აცინა დამსწრენი კარგი თამაშით (კოხტაიას როლში). დანარჩენებიც ანსამბლს ხელს უწყობდნენ. წარმოდგენას ხალხი ძლიერ ბევრი დაესწრო. რვის ნახევარი ჯერ არ იყო, რომ თეატრის კასაში ერთი ბილეთიც აღარ იშოვებოდა. წარმოდგენა გათავდა თერთმეტის ნახევარზე. ხალხი ძლიერ ნასიამოვნები დაიშალა. გუშინწინდელი წარმოდგენა საუკეთესო მაგალითია იმისი, თუ რა პიესები უფრო აინტერესებს ხალხს.

**ნ.**

P. S. არ შეგვიძლიან გამგეობას ყურადღება არ მივაქციოთ ერთ გარემოებას: იაფ-ფასიან ბილეთებს წინდაწინვე იტაცებენ ჩარჩები და წარმოდგენის საღამოს თეატრის წინ ერთი გახურებული ვაჭრობაა. შაურიან ბილეთებს თითო აბაზად ჰყიდიან.

**ნ.**

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

### 3—4 ნოემბერი

### უცხოეთი.

**ლარნაკა** (კიპროსი). დიდ ვეზირად ნამყოფი ქიამილ-ფაშა გარდაიცვალა.

**ვენა.** პალატა. ჩეხი სტრანსკი სასტიკად ჰგმობს ჩეხიის კონსტიტუციის დარღვევას; ჩეხელებს სძულთ მართვა-გამგეობის თანამედროვე სისტემა, გარნა ავსტრიისადმი მხურვალე სიყვარულით არიან გამსჭვალულნი. ჩეხიის ერი ერთგულია დინასტიისა; თუმცა ხშირად გაჰცრუებია იმედები, მაგრამ მაინც კეთილი მომავლის იმედი აქვს. ჩეხელი რადიკალი ხოცი სინანულს გამოსთქვამს, რომ ჩეხელთა კლუბმა მინისტრთა სამართალში მიცემა უარჰყო. სლავიანთა წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა ბერლინიდან და ბუდაპეშტიდან მომდინარეობს. ნაკაზის მიხედვით შეკითხვის განხილვა უფორმულოდ დასრულდა.

**ათინა.** გაზეთების სიტყვით გარეშე საქმეთა მინისტრი პანასი თანახმაა მიიღოს ელჩის თანამდებობა სტამბოლში. ოსმალეთის სამხედრო კომისია ათინაში მივიდა ოსმალელ ტყვეთა დასახსნელად.

**ბელგრადი.** სერბიის პრეს-ბიურომ უარჰყო „ზიუდ-სლოვიშე-კორესპონდენტის" ცნობანი, ვითომც სერბიის ჯარში უწესოებანი ხდებოდეს ან მემკვიდრის მოკვლა განეზრახოთ.

**პარიზი.** კოკოვცევი ბერლინის გზით პეტერბურგს მიემგზავრება „მატენის" თანამშრომელმა გამოაქვეყნა კოკოვცევის სიტყვები: „მე აღტაცებული ვარ პარიზში ყოფნით,—სადაც ასე გულთბილად და თავაზიანად მიმიღეს. ვებაასე საფრანგეთის თვალსაჩინო მოღვაწეებს და სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ ყოველ საკითხში ორი მოკავშირე სახელმწიფონი შეთანხმებულნი არიან.

**სტამბოლი.** პრესა ეჭვის თვალით უყურებს საბერძნეთ - ოსმალეთის ზავს: თუ საბერძნეთს ოსმალეთთან მშვიდობიანობა ჰსურს, უნდა შესწყვიტოს ახლად შეძენილ ტერიტორიაზე მუსულმანთა დევნაო.

შემდეგ კვირას დაიწყება სერბია-ოსმალეთის ზავის თაობაზე მოლაპარაკება.

**ლონდონი.** გაფიცულ მუშათა ბელადი, ახლად განთავისუფლებული ლარკინი, მოითხოვს მუშათა გაფიცვის გაგრძელებას.

როდესაც სასამართლო სუფრაჟისტ პისს ასამართლებდა, დამსწრე სუფრაჟისტ ქალებმა სასამართლოში უწესოება მოახდინეს. ხუთი სუფრაჟისტი ქალი შეიპყრეს.

**ლივერპული.** სეფტონ პარკის ორანჟერეიაში აღმოაჩინეს ორი ყუმბარა და სუფრაჟისტთა ლიტერატურა.

**მუკდენი.** პრესა თანაგრძნობით მიეგება ნაციონალისტების გამოძევებას პარლამენტიდან.

**ლონდონი.** მინისტრმა ჩერჩილმა სიტყვა წარმოსთქვა: ირლანდიის საკითხში საჭიროა ნებაყოფლობითი შეთანხმება, მაგრამ პრინციპების დაცვით; ირლანდიის ნაციონალისტებს თვით-მმართველობის თავისუფლება უნდა მიენიჭოს; ამავე დროს ულსტერის პროტესტანტებიც უნდა დაკმაყოფილონ.

**მექსიკა.** დეპუტატთა ახალმა პალატამ საორგანიზაციო მუშაობა დაასრულა.

**ბერლინი.** „ლოკალ-ანცეიგერ"—„ნორდ-დოიტშე-ალგემაინე - ცაიტუნგი" სიამოვნებით ეგებება ოსმალეთ-საბერძნეთის ზავის შეკვრას; იმედს გამოსთქვამს, რომ ალბანეთის და ეგეის კუნძულთა საკითხიც მშვიდობიანის გზით გადასწყდება.

**სტოკჰოლმი.** მეორე პალატის თავმჯდომარე ბარონი კარლ კარლსონ ბონდე უეცრად გარდაიცვალა.

**სოფია.** მრავალ რიცხოვან კრებაზე როდოსლავოვმა მთავრობის დეკლარაცია წაიკითხა: მთავრობას საჭიროდ მიაჩნია ბუქარესტის ხელშეკრულებაში მშვიდობიან და დიპლომატიურ მოლაპარაკების გზით შესწორებანი შეიტანოს, რომელიც უზრუნველ-ჰყოფს ევროპის მშვიდობიანობას.

საჭირო ხელ-შეკრულების თაობაზე ოსმალეთთან მოლაპარაკება გრძელდება. ბულგარეთი ცდილობს მშვიდობიანობით და შრომით განიკურნოს ომის გამოწვეული წყლულნი, კრების დათხოვნას სადოსლავოვი იმით განმარტავს, რომ ომის დროს იგი აღარ იყო ერის ჭეშმარიტი წარმომადგენელი. საფინანსო პოლიტიკაში მთავრობა გონივრულ დამზოგველობას იჩენს, მაგრამ საჭიროდ კი მიაჩნია ძლიერი ჯარი იყოლიოს, რადგანაც ეხლა უფრო საჭიროა ღირსეულად დაიცვას ბულგარეთის დამოუკიდებლობა. ახლად შემატებულ ოლქებში რკინის გზა იქნება გაყვანილი, დუნაისა და ეგეის ზღვის შესაერთებლად. მთავრობა ხელს შეუწყობს მიწად-მოქმედების განვითარებას; ყოველ მცხოვრებს პოლიტიკური უფლებანი მიენიჭება.

### რუსეთი.

**ბეჭვდითი სიტყვის კანონ-პროექტი სათათბიროს კომისიაში.**

სათათბ. კომისია შეუდგა ბეჭდვითი სიტყვის კანონპროექტის მუხლობრივ განხილვას. კომისიის სხდომას დაესწრნენ იუსტიციის მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ლიკოშინი და ბეჭვდის საქმეთა სამართველოს მთავარი გამგე. მსჯელობენ მთავრობის კანონ-პროექტზე. მცირეოდენის ცვლილებით მიიღეს მე-38 და მე-39 მუხლი. კომისია შეუდგა დროებითი გამოცემათა მუხლის განხილვას. მცირეოდენის ცვლილებით მიიღეს მეორმოცე მუხლი: ეს მუხლი ეხება დროებითი გამოცემებს, გაზეთებს, ჟურნალებს და თარგმნილ ან ორიგინალურ ნაწარმოებთა კრებულს, რომელნიც წელიწადში ერთი სათაურით ორის მეტჯერ გამოვა. კამათი გამოიწვია მე-41 მუხლმა, რომელიც განმარტავს, თუ რა უნდა იგულისხმებოდეს „დამატების" მცნებით. საჭიროდ აღიარეს შეიმუშაონ ამ მუხლისთვის ახალი რედაქცია; ამ რედაქციის ძალით დამატებანი დაექვემდებარებიან საერთო კანონებს წიგნების თაობაზე იმ შემთხვევაში, თუ „დამატებაზე" ცალკე არის გამოცხადებული ხელისმოწერა და თუ იგი მთავარ ორგანოზე დამოუკიდებლად გამოდის. რედაქციის საბოლოო შემუშავება შემდეგი სხდომისთვის გადაიდო. კომისიამ სულ მთლად გამოსტოვა მე-42 მუხლი. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია მე-43 მუხლმა; ამ მუხლის ძალით დროებითი გამოცემათა გამოსვლა იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ პასუხისმგებელი რედაქტორი გამოცხადებულია. კომისიაში ეჭვი აღიძრა, როგორ გაიგონ ამ მუხლის აზრი: იგი მოითხოვს აუცილებლივ დროებითი გამოცემათათვის პასუხისმგებელ რედაქტორს, თუ ჟურნალ-გაზეთის გამოსვლის წამს აუცილებლივ საჭიროა რედაქტორის ყოფნა. გრ. ბენიგსენი პირველ აზრს ემხრობა, ნაციონალისტები ბარაჩუკი და ალექსეევი მეორე განმარტებას ემხრობიან. მთავარ სამართველოს უფროსიც უკანასკნელთ ეთანხმება. იუსტიციის მინისტრი აცხადებს: კანონპროექტის მიზანია პასუხისგებაში მისცენ ნამდვილი დამნაშავენი და არა ფიქტიური პირნი.

მაკლაკოვი შენიშნავს, რომ ამ მუხლის ძალით ადმინისტრატიულ თვითნებობას კვლავ ფართო ასპარეზი ეძლევა. მილიუკოვი აღნიშნავს: ამ მუხლის მიღებით წინასწარ ვწყვეტთ დროებითი გამოცემების შეჩერებას, თუ პასუხის მგებელი რედაქტორი გამოცემის დროს იქ არ იმყოფება. გრ. ბენიგსენს და გრ. კაპნისტს მეორეს ამ მუხლის რედაქცია არ აკმაყოფილებთ; მათ თავის რედაქცია შეაქვთ: „ყოველ დროებითი გამოცემას გამოსვლამდე უნდა ჰყავდეს პასუხის მგებელი რედაქტორი";

კომისია შეუდგა მე-45—მუხლის განხილვას; ამ მუხლის ძალით რედაქტორად შეუძლიანთ იყვნენ მხოლოდ მათ, ვინც რუსეთის ქვეშევრდომად ითვლებიან, დასრულებული აქვს სულ მცირე საშუალო სასწავლებელი და მიღწეულ არიან

25 წელს, ქვეშევრდომობის საკითხზე ილაპარაკეს ალექსეევმა და იუსტიციის მინისტრმა: პასუხის მგებელ რედაქტორად ყოფნის უფლება პოლიტიკური უფლებაა და ამიტომაც არ შეიძლება იგი უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომთ მიენიჭოს. მილიუკოვი ამბობს, პროექტში ლაპარაკია არა პოლიტიკურ უფლებაზე, არამედ იმაზე, რომ ყოველ ადამიანს მინიჭებული ჰქონდეს უფლება გამოსთქვას თავისი აზრი და ამით ხელი შეუწყოს ქვეყნის წარმატებას; კომისიამ კამათის შემდეგ მიიღო მე-45 მუხლის დებულებანი.

რედაქტორი ნ. კურდღელაშვილი.
გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.

**ა. კივიტ.** ამზადებს **სიმწიფის მოწმობისათვის, სამხედრო სასწავლებელში**, 1 ხარისხის ვოლნოოპრედელიაიუშჩის გამოცდისათვის და საშუალო სასწავლებლების ყველა კლასებისათვის. შეთანხმების მიხედვით **პირობას ვაძლევ გამოცდის სასურველ შედეგების შესახებ.** ნახვა შეიძლება: დილით 12—1 საათამდე და საღამოთი 5—6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახ. № 142 (პიროგოვის ქუჩის კუთხე). 1540

მუხრანის ქუჩაზე, სადაც წინად „კავკასია" ნომრები იყო, გაიღო
# სამჯახო ნომრები
შენობა ახლად შეკეთებულია და განათებულია ელექტრონით. ავეჯეული სულ ახალია. ნომერი ღირს: 60 კ.—დან 1 მანეთამდე.
**თვიურებს დიდი შეღავათი.** 1552

# ექიმ ნავასარდიანის
## პირველი კერძო
# სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**
**დ ი ლ ი თ:**
## „606" და „914"
**11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**
**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ბ. გ. ალახვერდოვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ხერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მუღანი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი ავადმყოფ. და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
**კ. დ. გურგენიძე.** 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.
**ს ა ღ ა მ ო თ ი:**
**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.**
1001

# ოქროს საათი ხრონომეტრი 56 პროცენტით



200 მანეთიან ოქროს საათის ნაცვლად გირჩევთ შეიძინოთ **ხრონომეტრი**, მხოლოდ **4 მ. 70 კ.**, რომელიც თავის ფორმით და სილამაზით არ ჩამოუვარდება ოქროს საათს, რადგანაც საუკეთესო სპეციალისტი ძნელად გაარჩევს მას ნამდვილ ოქროსაგან. საათის მოყვანილობა ფრიად პტყელია, ვერცხლის მანეთიანის სისქისა; გაკეთებულია ნამდვილ ამერიკულ ოქროთი; იგი არა ჰკარგავს თავის პირველ-ყოფილ სახეს, ორიგინალური ...ით (...). საათი **ხრონომეტრი** კაცისა ან ქალისა განირჩევა ...ით. ... 40 საათში ... 15 ქვიანი ... მსურს რა გავავრცელო ჩემი ფირმა პრემიის სახით ... ფრიად უფასოდ იგზავნის 20 ძვირფას ნივთს: 1. ნამდვილი ამერიკული ოქროს ძეწკვი, 2. შინა კინემატ., 3. საათის ზამშის ბუდე, 4. საათის ქურდებისაგან გასაფრთხილებელი, 5—8. ... 9. ... 10. შემკვეთელის გვარის, სახელისა და მამის სახელის ბეჭედი, 11. ბეჭდისთვის სადებავი ფლაკონი, 12. ბეჭედი ნამდვილ ამერიკულ **დუბლეხი**, 13. პარიზული პლასტოგრამა, რომელიც ... 15—19. ... საინტერესო სურათი ... და 20. ... ბინოკლი 4 ...ომ. ... მხოლოდ 4 მ. 70 კ., ორი საათი 9 მ. 30 კ., ... 5 მ. 70 კ., ორი 11 მ 20 კ. პასუხს ვაძლევ ... წლით ვაგებ; გზავნი ... გაგზავნა 40 კ., ციმბირში 75 კ. **მისამართი:** საათების საწყობი: И. Штрумфельдъ, Варшава, Электоральная 11, отд. 54.
Метцль. 21663. 1175

# აგენტმა
## ივანე გრიგოლის ძემ
# ხალათიანმა
ავადმყოფობის შემდეგ **განაახლა** განცხადებებისა და ხელის-მოწერის მიღება ადგილობრივისა და ქალაქ გარეთულ გამოცემებისთვის. წინანდელივით ეხლაც სინდისიერად და კარგად ასრულებს თავის მოვალეობას. მიხეილის პრ. № 119, სახლი ფორიერისა. ტელეფონი 697. 1493

მოითხოვეთ ყველგან




მთავარი კანტორა და საწყობი
ვოლზოის ქუჩა № 2 რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ.
ტელეფონი № 14/68.
1512

# მივიღეთ ცივადი-მატარებლით
## პეტერბურგიდან
თევზის მრეწველნი
# ძმ. მეგველოვები.
პუშკინის ქუჩა, სახლი სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

ამურის წითელი ხიზილალა (კეტოვი), სიგი, დვინის ორაგული, გრუზდი, ბრუსნიკა და სხვ.
აგრეთვე იყიდება მაილოვის ხიზილალა
კოლოფით ჭ ხმელი სოკო. 1500

# ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:
**წიგნები: ისტორიისა, საეკლესიო და საისტორიო მასალები:**

ПРОФ. Н. МАРРЪ:
Житье св. Григорія Хавдзійскаго —3 მ.
Древнегрузинскіе одописцы — —3 მ. —
Вступительныя и заключительныя строфы Витязя въ Барсовой кожѣ 1 მ. 25 კ.
Антіохъ Стратигъ, плѣненіе Іерусалима персами въ 614 г. — — —2 მ.
Критика и мелкія статьи кн. V —75 კ.
Физіологъ. Армяно-грузинскій изводь — — — —2 მ.
Основныя таблицы къ грамматикѣ древне-грузин. языка — — —5 მ.
Кавказъ и памятн. духов культуры 20 კ.
Исторія грузіи (культ. истор набросокъ) — — — —25 კ.
Изъ поѣздокъ въ Сванію — — —30 კ.
Изъ лингвистическ. поѣздки въ Абхазію — — — —50 კ.
Къ вопросу о задачахъ армяно-вѣд, 5 კ.
Ефремъ Сиринъ. О дняхъ празд. рождества, объ основ. перв церквей въ Іерусалимѣ —75 კ.
Іос. Аримаѳейскій Сказаніе о построеніи первой церкви въ г. Лиддѣ (груз текстъ) — — —1 მ.
Ипполитъ, толкованіе пѣсни пѣсней груз. текстъ X вѣки — — —2 მ.

**ახლად გამოსული წიგნები:**
ჩვენი ახალ თაობის უკულმართი ცხოვრების ძირითადი მიზეზები ნ. თავდგირიძისა — — —20 კ.
ბაში-აჩუკი აკაკისა — — — 30
როგორ უნდა დაარსდეს და სწარმოებდეს წვრილი კრედიტის დაწესებულება ა. კახელაძისა — — —10 კ.
ქართული სიტყვიერების ისტორია (მეცხრამეტე საუკუნე) ალ. ხახანაშვილისა — — — —1 მ.
ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз нас. 1913

მთელს დედა-მიწაზე საუკეთესო
# გრამო-ფონებს
„იაკორ"-ს
ჰქონდის საფაბრიკო მაღაზია
გრამოფონებისა
გ. ს.
# დავიდოვისა.
ფულის ნაწილ-ნაწილად გადახდა შეიძლება.
გოლოვინის პროსპექ., № 6, საკრებულოს ქვეშ.
1531

# გამოცხადება
## მიხეილის სახელობის
# ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილო-მამულო
# ბ ა ნ კ ი ს ა

საყოველთაოდ იუწყება, რომ ბანკის წესდების მე-17 §-ის ძალით, 1913 წლის დეკემბრის, ქვემოდ აღნიშნულ დღეებში, შუადღის 12 საათზე, ვაჭრობის გადაუდებლად, საჯაროდ გაიყიდება ქვემოდ ჩამოთვლილი დაგირავებული მამულები, რომლის პატრონებსაც ბანკში ვადაზე შესატანი გადასახადი არ წარუდგენიათ.

ბანკის მე-18 პარაგრაფით მოვალეს ნება ეძლევა ბანკში შესატანი გადასახადის სარგებელი შეიტანოს ვადაზე გადაცილების გამო იმ ხარჯის დამატებით, რასაც ბანკი გასწევს პირველ საჯარო ვაჭრობის თვის მამულის გასასყიდად ჩარიცხვის გამო, ხოლო თუ პირველი საჯარო ვაჭრობა არ მოხერხდა, მაშინ მეორე საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე, რათა ამ გზით მამული საჯარო ვაჭრობიდან მოახსნენოს.

საჯარო ვაჭრობით გასასყიდად დანიშნული მამულების ხვედრი შესატანი შეიძლება მემამულემ გადაუხადოს ბანკს: საჯარო ვაჭრობის დღემდე—**ქუთაისში**, ბანკის კასაში; **ტფილისში**—ბანკის აგენტთან, ტფილისის საკომერციო ბანკში, აზოვო-დონისა და ვოლგა კამის საკომერციო ბანკებში და საბანკო კანტორაში „ი. ფრიდონოვი და ამხ.". **ბათომში**—ტფილისის საკომერციო ბანკისა და შეერთებულ ბანკების განყოფილებაში; **სოხუმსა და ზუგდიდში**—ადგილობრივ საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში; ხოლო საჯარო ვაჭრობის დღეს, ვაჭრობის დაწყებამდე, მხოლოდ და მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც საჯარო ვაჭრობაა დანიშნული—ქუთაისში—ბანკის სამმართველოში და ტფილისში—ბანკის აგენტთან.

ამასთანავე ბანკის გამგეობა სთხოვს ბ.ბ. მოვალეებს, უკეთუ მათ ბანკის უწყებული გადასახადი ბანკის კორესპონდენტებს გადასცეს, ეს დეპეშით აცნობონ იმ დაწესებულებას, სადაც წარდგენილი იქნება ფული, სანამ ბანკის გამგეობა დეპეშით ამ ცნობას არ მიიღებს, კორესპონდენტთან წარდგენილი ბანკის შესატანი დარჩენილი გადასახადი მიღებულად არ ჩაითვლება, რის გამოც მამული საჯარო ვაჭრობით გასასყიდად განზრახულ მამულთა სიიდან არ ამოიშლება.

ბანკის მე-20 §-ის ძალით საჯარო ვაჭრობით მამულის გაყიდვა დაიწყება იმ თანხიდან, რომელსაც შეადგენს თავნი ვალი კუთვნილ სარგებლისა, დარჩენილ გადასახადთა და ჯარიმებისა და ბანკის მიერ გაწეულ ხარჯის ზედმითვლით და აგრეთვე იმ ვალის წამატებით, რომელსაც ბანკის ვალზე უფრო მეტი უპირატესობა ეძლევა: თავნი ვალი შეიძლება მსყიდველმა მთლად გაანაღდოს, თავის თავზე გადაიტანოს, ხოლო დარჩენილი გადასახადი კი ნაღდ ფულად უნდა წარუდგინოს ბანკს.

ვისაც ბანკის მიერ გასასყიდად დანიშნულ საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურს, ვაჭრობის დაწყებამდე უნდა წარმოიდგინონ ბე, რომელიც უნდა უდრიდეს მამულზე დარჩენილ გადასახადის, ვადაზე შესატან ფულისა და მყიდველის მიერ უწყებულ გადასახადის რაოდენობას. ბე ნაღდ ფულად უნდა წარადგინონ ან სახელმწიფო და მთავრობის მიერ უზრუნველყოფილ ფურცლებით და აგრეთვე გირავნობის ფურცლებით, რომლითაც სწარმოებს ბანკში გაყიდვა, ამასთანავე სარგებლიანი ქაღალდები იმ ფასად მიიღება, როგორც ფინანსთა მინისტრის მიერ არის განსაზღვრული კონების განაღდების წესით უსასყიდლოდ, ბეგის გადაუხდელად.

წესდების მე 21 §-ით საჯარო ვაჭრობა კანონიერად ითვლება, თუ მე-20 §-ის განსაზღვრულ თანხიდან წაემატა რამე.

ის თანხა, რომელსაც მსყიდველი ბანკს შეაძლევს, ბედ წარდგენილ ფულის გამოკლებით, მსყიდველზე მამულის თავნი ვალის გადატანისა, და აგრეთვე პოშლინები შეძენილი მამულის მსყიდველმა უნდა წარუდგინოს ბანკს თოთხმეტი დღის განმავლობაში. უკეთუ აღნიშნულ 14 დღეში არ შეიტანა, მსყიდველი ჰკარგავს საჯარო ვაჭრობაზე მონაწილეობის მისაღებად წარდგენილ ბეს, რომელიც ამ მამულის დარჩენილ გადასახადთა, სახელმწიფო და სხვა ხარჯთა გასტუმრებას მოხმარდება.

როგორც პირველი ისე განმეორებითი საჯარო ვაჭრობა მხოლოდ სიტყვიერად სწარმოებს, დაბეჭდილ კონვერტებით წარმოდგენილი ფასები მხედველობაში არ მიიღება.

ბეს წარმომდგენელთ, ბანკის გარეშედ, გირავნობის საქმეში არავითარი უპირატესობა არ ენიჭებათ საჯარო ვაჭრობის დროს და ისინიც იმავე წესით მონაწილეობენ საჯარო ვაჭრობაში, როგორც სხვა დანარჩენნი.

საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ გასასყიდად დანიშნულ მამულის შესახები საქმის წარმოების გადასინჯვა შეუძლიანთ ყოველ საქმის დღეს დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

## პირველი საჯარო ვაჭრობა დანიშნულია:

ა) **2 დეკემბერს**, ქალაქ ტფილისსა და ტფილისის გუბერნიაში მდებარე მამულებისა.

ბ) **5 დეკემბერს**, ქალაქ ქუთაისში მდებარე მამულებისა.

გ) **9 დეკემბერს**, ქუთაისის გუბერნიის სხვა ქალაქებისა და დაბებში და აგრეთვე სოხუმის ოლქში მდებარე მამულებისა.

დ) **13 დეკემბერს**, ქუთაისის გუბერნიისა, ბათომის და სოხუმის ოლქების სოფლებში მდებარე მამულებისა და იმ მამულებისა, რომელთა გირავნობითაც გაცემულია მოკლე ვადიანი სესხი.

## განმეორებითი და უკანასკნელი საჯარო ვაჭრობა კი დანიშნულია:

ა) **17 დეკემბერს**, ქ. ტფილისსა და ტფილისის გუბერნიაში მდებარე მამულებისა.

ბ) **20 დეკემბერს**, ქალაქ ქუთაისში მდებარე მამულებისა.

გ) **23 დეკემბერს**, ქუთაისის გუბერნიისა და სოხუმის ოლქის სხვა ქალაქებში მდებარე მამულებისა.

დ) **30 დეკემბერს**, ქუთაისის გუბერნიისა, ბათომისა და სოხუმის ოლქების სოფლის მამულებისა და იმ მამულებისაც, რომელთა გირავნობითაც გაცემულია მოკლე-ვადიანი სესხი.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა".